

სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა მაღადაპტაციური კვებითი
ქცევების დროს

ნინო ზედგინიძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე
კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ფსიქოლოგია:კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი,

პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. „

ნინო ზედგინიძე

მადლობა

მადლობა მოცემული პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს ქ-ნ ქეთევან მაცაშვილს, სამაგისტრო სემინარის კურსის ხელმძღვანელს ქ-ნ ნინო სხირტლაძეს და კვლევის მონაწილეებს.

სარჩევი

სარჩევი.....	1
აბსტრაქტი.....	2
Abstract.....	3
შესავალი.....	4
ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
• კვებითი დარღვევები.....	5
• კვებითი დარღვევების ნეირობიოლოგია.....	9
• სირცხვილის გრძნობა და დანაშაულის გრძნობა.....	11
• სირცხვილის და დანაშაულის გრძნობის ნეირობიოლოგია..	14
არსებული კვლევების მიმოხილვა.....	16
ინსტრუმენტები და მეთოდოლოგია.....	19
• საკვლევო კითხვა.....	19
• კვლევის ჰიპოთეზა.....	19
• მეთოდოლოგია.....	20
• ინსტრუმენტები.....	21
• ანალიზის სტრატეგია.....	21
შედეგები.....	22
დისკუსია.....	24
დასვნა და რეკომენდაციები.....	26
გამოყენებული ლიტერატურა.....	27
დანართი N1.....	29
დანართ N2.....	32

აბსტრაქტი

დღესდღეობით კვებითი აშლილობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხია, რომელსაც უამრავი ინდივიდი ვერ აღწევს თავს და ამ ინდივიდების პროცენტული მაჩვენებელი ყოველწლიურად იწევს. არსებული კვლევის მიზანია სირცხვილს, დანაშაულსა და მალადაპტაციურ კვებით პატერნებს შორის კავშირის დადგენა. ასევე, იმის დადგენა, თუ რომელი გრძნობა უფრო მეტად პრედიქტირებს კვებითი დარღვევის სიმპტომატოლოგიას.

კვლევის ჰიპოთეზის მიხედვით, სირცხვილის და მალადაპტაციური დანაშაული დადებით კორელაციაშია მალადაპტაციურ კვებით პატერნებთან და სირცხვილის გრძნობა უფრო მეტად პრედიქტირებს მსგავს სიმპტომატოლოგიას.

კვლევაში მონაწილეობას იღებდა 18-იდან 30 წლამდე ასაკის 66 მდედრობით სქესის წარმომადგენელი. გამოყენებულ იქნა თვით-ანგარიშის კითხვარები, რომლებიც მონაწილეებს დაეგზავნათ ელექტრონულად.

მონაცემთა ანალიზისას გამოყენებულ იქნა პირსონის კორელაციის კოეფიციენტი, ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად. შედეგებმა აჩვენა, რომ კორელაცია სირცხვილს და კვებით დისრეგულაციას შორის არ აღმოჩნდა. თუმცა, კავშირი დაფიქსირდა მალადაპტაციურ დანაშაულსა და წონაზე ორიენტირებულობას შორის. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ დანაშაული და სირცხვილის საშუალო მაჩვენებელი ქართულ პოპულაციაში საშუალოზე მაღალია.

საძიებო სიტყვები: მდედრობითი სქესი, კვებითი დისრეგულაცია, მალადაპტაციური კვებითი პატერნები, დანაშაული, სირცხვილი, მალადაპტაციური დანაშაული

Abstract

Eating disorders has become one of the contemporary actual problems with which a lot of people are struggling. Additionally, the percentage of individuals struggling with eating disorders rises up every year. Aim of this research is to find connection between shame, guilt and maladaptive eating patterns. Also, this survey aims to determine which of the emotions predict more eating disorder simptomalogy.

According to hypotheses of the research, shame and maladaptive guilt is positively correlated to maladaptive eating patterns and shame is more likely to predict the symptomatology than guilt.

In the study 66 women participated and their age range was form 18 to 30. Self-report questionnaires, such as *Shame and Guilt Proness Scale* and *Eating Disorder Questionare* was used. The questionares were sent to the participants via internet.

The data was analysed using Pearson Correlation coefficient to determine the connection between the variables. According to the results there is not correlation between shame and eating dyregulation. However, there was a positive correlation between maladaptive guilt and weight concern. Also, interestingly, in Georgian women guilt and shame average coeffiecient was high.

Key words: Eating disorders, Maladaptive Eating Patterns, women, eating dysregulation, shame, guilt, maladaptive guilt.